ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲬᲘᲜ ᲡᲬᲚᲐ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲬᲘᲜ ᲕᲘᲮᲔᲓᲔᲑᲝᲛᲔᲗ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲬᲘᲪᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲐᲚ-ᲦᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲠᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

XXIII ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘᲡ № 69 (13463) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 26 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1966 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: XXIII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲒᲖᲘᲡ ᲕᲐᲒᲖᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ. (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ): ᲡᲝᲚᲜᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲐᲒᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Შ. ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲐᲑᲠᲣᲨᲘᲛᲔ Ო. ᲐᲘᲕᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲣᲛᲯᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 2 ᲤᲔᲯᲮᲘᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ Მ. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Უ. ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲘᲜᲐ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲨᲣᲛᲔ Გ. ᲪᲐᲩᲘᲐᲜᲐᲣᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲒᲖᲘᲡ ᲯᲐᲒᲖᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ. (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ): ᲡᲝᲚᲜᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲐᲒᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ს. ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲐᲑᲠᲣᲨᲘᲛᲔ Მ. ᲐᲑᲐᲫᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔ Ა. ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲘᲜᲐ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲐᲑᲠᲣᲨᲘᲛᲔ Ნ. ᲣᲛᲯᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 2 ᲤᲔᲯᲮᲘᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ Მ. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲐᲑᲠᲣᲨᲘᲛᲔ Გ. ᲪᲐᲩᲘᲐᲜᲐᲣᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲣᲯ-ᲯᲐᲜᲯᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲥᲕᲔᲝᲡᲢᲐᲢᲘ Ლ. ᲯᲐᲜᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ და „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲯᲑᲐᲛᲨᲔᲜᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲣᲧᲕᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ Გ. ᲝᲜᲝᲚᲐᲫᲔ. ᲤᲝᲢᲝ Შ. ᲩᲮᲔᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲤᲠᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ.

დიდი აღფრთოვანებით შრომობენ სოფლის მშრომელები ამ დღეებში საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში. სიმარულისა და კმაყოფილების გრძნობა ეუფლება თვითეულ საბჭოთა ადამიანს, რომ ცნობის გამო, რომ ვადამდე განადღესულია სახელმწიფოსთვის რძის, ხორცისა და კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. 20 მარტისათვის მთელ ქვეყანაში შესყიდულია 5.400 ათასი ტონა რძე, ანუ 300 ათასი ტონით მეტი, 2.800 მილიონი ცალი კვერცხი, ანუ 300 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ორცის მიყიდვის გეგმა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმები ვადამდე შესრულეს **რუსეთის ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ, ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲡ, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲡ, ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲚᲘᲢᲕᲘᲡ, ᲚᲐᲢᲕᲘᲡᲗᲐ** და **ᲔᲡᲢᲝᲜᲗᲘᲡ** მეურნეობებში.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ წინადღეებში საქართველოს მეცხოველეთა ეს წარმატება მოუთანებს იმაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ენერგიასა და ძალას არ შეიარებენ იმისათვის, რომ ახალ ხუთწლედში ღირსეული წვლილი შეიტანონ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის ამაღლების საქმეში.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ. სამმართველოს 20 მარტის ცნობებს და ნათლად ხედავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული. საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალ ხუთწლედის პირველი წლიდანვე ახორციელებენ შთელ რიგ ღონისძიებებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებმა ახალი ხუთწლედის პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 95.900 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად დავალება თერთმეტი დღით ადრე გაანადღდეს 119,1 პროცენტით. ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 218.600 ცენტნერი რძისა სახელმწიფოს მისცეს 228.508 ცენტნერი რძე, კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა განადღებულია 115,2 პროცენტით.

მეცხოველეთა შრომითი გამარჯვება იჭედებოდა თავდადებული შრომით სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ერთი წლით გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა საბჭოთა სოფლის საწარმოო ძალების ზრდის ეკონომიურად დასაბუთებული პროგრამა, სოფლის მშრომელებს ხელთ მისცა ძლიერი ბერკეტი მიწათმოქმედებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. სწორედ ამის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებამ შესაძლებლობა მოგვცა არ ვითვალისწინებდეთ სახელმწიფო შესყიდვის გეგმებში მოსახლეობის მონაწილეობას რძის გაყიდვაში 1965 წლიდან, კვერცხის გაყიდვაში — 1967 წლიდან. მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს **ᲗᲘᲗᲘᲠᲘ ᲧᲕᲐᲠᲝᲡ** რაიონის მშრომელებს.

ამ დღეებში გაზეთში გამოქვეყნდა სასიხარულო ცნობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა თეთრი წყაროს რაიონს. რომელმაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა 1965 წლის მეოთხე კვარტალში. აღინიშნა ᲫᲐᲠᲔᲚᲘᲡ, ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ, ᲒᲐᲡᲣᲜᲘᲡ, ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ, ᲓᲔᲨᲘᲡᲗᲘᲡ, ᲨᲣᲒᲜᲘᲡᲘᲡᲐ და ᲥᲝᲜᲘᲡ რაიონების კარგი მუშაობა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება, ძირითადად პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდის გზით. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ახალი ხუთწლედით დასახული ამოცანები. თვითეული ფერმა უნდა გავხადოთ მომგებიანი, რენტაბელური. მთავარი ახლა ის არის, რომ ნაკლები დანახარჯებით მივიღოთ მეტი პროდუქცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეა ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას, საქონლის გარეგნული გაფორმებისა და კვების პროდუქტების შეფუთვის გაუმჯობესებას. (საქდესი).

ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲗ ᲐᲡᲠᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ? ᲐᲯ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ იკისრეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ, ამასთან შეამცირონ მიღებული პროდუქციის თვითღირებულება. აკეთებენ ამას? არა. უკვე პირველი კვარტალი იწურება და სახელმწიფოს მიჰყიდეს მხოლოდ 762 ცენტნერი რძე. ეს კი პირველი კვარტალის გეგმის მხოლოდ 31,5 პროცენტს შეადგენს, ხოლო ხორცის მიყიდვის დავალება შესრულებულია 63,3 პროცენტით. უფრო ცუდად მუშაობენ აჯაზეგის რაიონში. აქ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება შესრულებული აქვთ მხოლოდ 12,2 პროცენტით, რძისა კი ერთი პროცენტითაც არ შეუსრულებიათ.

ათეული ათასობით სული პირუტყვია სამომთაბარო საძოვრებზე კასპისპირეთში. მარტო აჯაზეგის რაიონიდან არის 100 ათასზე მეტი ცხვარი, დუშეთის რაიონიდან — 91 ათასი, ლენინგორის რაიონიდან — 87 ათასზე მეტი. ახლა საძოვრებზე, მეცხვაერეთი რომ ინაგარებენ, სწორედ ისეთი ამინდებია. საძოვრებზე წელს შარშანდელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. პირუტყვი უზრუნველყოფილია საკვებით. „რთველი“ დაეწყოთ ქართველ მეცხვარეებს. კასპისპირეთში მასობრივად გაჩაღდა დოლი. ყოველდღე ასობით ბატკანი ემატება „თეთრ ქარავანს“. წლევანდელი დოლი დიამოხვა ღირსშესანიშნავ მოვლენას. მიმდინარეობს ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა. ქართველი მეცხვარეები ისწრაფვიან ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობას.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტში ნათქვამია: სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანა ის არის, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რათა უკეთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა ხასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე.

ამ პასუხსაგები ამოცანების სასახელოდ შესრულებაში მთავარია ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა. პარტიის რაიონულ კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ კიდევ უფრო ოპერატიული, კონკრეტული და ქმედითი გახადონ ადგილებზე თავიანთი მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲒᲐᲜᲕᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების შესახებ მრეწველობის მართვის გარდამავალთან დაკავშირებით.

დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნულია, რომ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება და მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა უნდა წარიმართოს საწარმოო გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დაგროვების გადიდებისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების ყოველნაირად გავრცელებისათვის. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკეთ უნდა გამოიყენოთ საწარმოო ფონდები, ვიბრძოლოთ უყირათობისა, ფულადი სახსრების, მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიისათვის, უზრუნველყოთ სამეურნეო ხელშეკრულებათა ზუსტად დაცვა შეკვეთების შესრულება.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დამტკიცდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები, და პირველი, მეორე და მესამე ფუღლადი პრემიები.

დადგენილება ავალებს სამინისტროებს უზუბებსა და რესპუბლიკის პროფკავშირულ კომიტეტებს 10 დღეში შეიმუშაონ და მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგინონ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები. აგრეთვე შეიმუშაონ და დამტკიცონ წამყვანი პროფესიების მუშათა შეჯიბრების პირობები (საქდესი).

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲨᲘᲜᲐᲗᲕᲘᲡ

1965 ᲬᲚᲘᲡ დეკემბერში სსრ კავშირში ვიზიტის დროს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ურჰო კეკონენმა სთხოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს მოსახერხებელ დროს ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს ფინეთს. ამ მიწვევას ა. ნ. კოსიგინი მადლობით დაეთანხმა.

ამჟამად მიღწეულია შეთანხმება, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ფინეთს ეწვევა ამა წლის ივნისში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის, ეროვნული ეკონომიკურ საბჭოთა, ეროვნული ეკონომიკურ საბჭოთა, ეროვნული ეკონომიკურ საბჭოთა

ვისწავლოთ, რომ ვუცხელმძღვანელოთ!

ᲘᲓᲔᲝᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐ

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ!

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘ ფუძემდებლები არაერთგზის მიგვითითებდნენ, რომ ადამიანთა საზოგადოებას წარმატებითი განვითარების საწინდარია მომავალი თაობის გონიერულად მოწყობილი აღზრდა. ერთ-ერთ ადრინდელ დოკუმენტში, რომელიც კ. მარქსის კალამს ეკუთვნის, ნათქვამია: „...მუშათა კლასის ყველაზე გათვითცნობიერებულ ნაწილს სრულად აქვს შეგნებული, რომ მისი კლასის, მაშასადამე, კაცობრიობის მომავალი მთლიანად არის დამოკიდებული მუშების ახალგაზრდა თაობათა აღზრდაზე“.

როგორც ცნობილია, აღზრდა საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე აღზრდას დიდი ადგილი ეჭირა, მისი ამოცანები, შინაარსი და ორგანიზაცია კი, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ურთიერთობით განისაზღვრებოდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ აღზრდის განპირობებულობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათით კომუნისტების გამონაგონი კი არ არის, არამედ აღზრდის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა.

შრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უურადღების ცენტრში.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე შრომელი მასების კომუნისტურ აღზრდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყოველი საბჭოთა ადამიანის ჩვენი დიადი საქმისადმი ურყევი რწმენის, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით აღზრდა — მთავარი და განმსაზღვრელია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საშეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში.

ახალი ადამიანის აღზრდის, მასში კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბების საკითხები უდიერს საფუძველად ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას. ამ საკითხებს სისტემატურად განიხილავენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე, პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ისახება კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი.

რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში თავდადებული შრომით მოპოვებული უდიდესი წარმატებანი, რაც საბჭოთა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — მეორე ლენინის ორდენით აღინიშნა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა პარტიული ორგანიზაციების აღმზრდელობითი როლის ამაღლებამ, იდეოლოგიური მუშაობის სწორად მოწყობამ.

ახალი ადამიანი იწრთობა საზოგადოების საკეთილდღეო აქტიური შრომაში. შრომითი აღზრდა კომუნისტური აღზრდის არსი და გული.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ მასობრივ-აღმზრდელობითს მუშაობას იკითკენ წარმართავენ, რომ დარაზმონ მშრომელები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ასაშენებლად. ამ მუშაობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტური შრომისათვის მასობრივი მოძრაობა, რაშიაც მარტო ჩვენს რესპუბლიკაში მონაწილეობს ქალაქისა და სოფლის 400 ათასი მშრომელი. კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდებისათვის იბრძვის 579 ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, მშენებლობა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის საწარმო, 2.606 საამქრო, უბანი, განყოფილება, ფერმა, 18 ათასზე მეტი საწარმოო ბრიგადა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმოების 70 ათასზე მეტმა მოწინავემ და ნოვატორმა მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა, შრომითი აღზრდის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ჩვენთვის უცხო იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინებათა — მუქთახორობის, წამგლეჯობის, მექრთამეობის, ლოთობის, ხულიგნობის წინააღმდეგ.

მტკიცება არ უნდა იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაზარდა და განმტკიცდა ჩვენი რესპუბლიკის შრომელთა — კომუნისტებისა და უპარტიოების იდეური წრთობა, გაფართოვდა მათი იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტი. ახლა მათ უფრო ღრმად აქვთ შეგნებული საერთო-პარტიული და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები და მუდამ დგანან მათ სადარაჯოზე.

შრომიადან ადამიანთა შეგნებული დამოკიდებულება უდევს საფუძვლად ისეთ მოწინავე ადამიანთა მოღვაწეობას, როგორიც არიან: თბილისის ელმავალსაშენებელო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. პაპანაშვილი, რომელმაც დასაბამი მისცა მოძრაობას მხოლოდ დაზოგილი სახსრებიდან ხელფასის მიღებისათვის; თბილისის მაუდ-კაბოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე ა. ჩიქოვანი, რომლის თაოსნობა „ვიბრძოლოთ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის“ — ფართოდ გავრცელდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც; მეჩიაე ნ. გოგაძაძე, რომლის თაოსნობითაც ფართოდ გაიშალა მოძრაობა საშუალოდ ჰექტარზე წინა წლეთან შედარებით 500 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის. ყოველი სასარგებლო და საინტერესო ინიციატივა, რაც რესპუბლიკაში იბადება, სათანადო მხარდაჭერასა და პროპაგანდას მოითხოვს.

პარტიის წესდება დიდ მოთხოვნებს უყენებს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტები უნდა აღზარდონ პარტიის სიმტკიცის საქმისადმი ერთგულების, იდეური სიმტკიცის სულისკვეთებით, უზოუნველყონ ის, რომ მათ მარქსისტულ-ლენინური თეორია შეესწავლონ კომუნისტური შეგნებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მუშაობაში სეროზულ ნაკლოვანებებს იწვევდა ფორმალიზმი, თეორიის მოწყვეტა ცხოვრებისაგან, ციფრებითა და პოლიტიკური სწავლებაში ჩაბმულთა რაოდენობით გატაცება. ზოგჯერ დავიწყებული იყო მეცადინეობის ხარისხი. მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სისტემაში გაერთიანებულია 260 ათასამდე მსმენელი, აქედან კომუნისტები 200 ათას მეადგენენ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები თავიანთ რიგებში ითვლიან 15 ათასზე მეტ პროპაგანდისტს. გაიზარდა პროპაგანდისტთა ავტორიტეტი. საინტერესო და სასარგებლო მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი და პოლიტიკური განათლების კაბინეტები ადგილებზე. მისასალმებელია ცალკეული პარტიული კომიტეტების, მსხვილი პარტიული ორგანიზაციების მიერ პროპაგანდისტის დღის, პროპაგანდისტთა საპატიო წოდების, ალბომებისა და სხვ. შემოღება.

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა ეძებონ მოწინავე პროპაგანდისტთა საყოველთაო შეფასების უკეთესი ფორმები.

სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კადრების სწავლებისა და აღზრდის საქმეს. შარშან საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების სემინარები. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ერთთვიან კურსებზე სწავლობდნენ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორები.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში სერიოზული როლი ენიჭება ლექციურ პროპაგანდას. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და საზოგადოება „ცოდნის“ გაბაყოფილებები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. ამაღლდა ლექციების იდეური დონე და შინაარსი. ისინი უფრო მიზანსწრაფული და საგნობრივი გახდა. გაუმჯობესდა პოლიტიკურ მომზადებელთა და ლექტორთა შემადგენლობა.

მარტო რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით გასულ წელს წაკითხულ იქნა 240 ათასი ლექცია.

პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოების ლექტორთა ძალებით ხშირად ეწყობა ლექციების ციკლები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, სამეცნიერო სესიები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოების ნოვატორთა, მაღალი მოსავლის ოსტატთა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა.

ლექციებით ხშირად გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერულ-ტექნიკური და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ამასთან ლექციურ პროპაგანდაში ჯერ კიდევ არსებობს სეროზული ნაკლოვანებანი. ბოლნისის, ზესტაფონის, თიანეთის, შუახევისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ნაკლებად იკითხება ლექციები და მოხსენებები. ჯერ კიდევ დაბალია გეგეკჭორის, წულუკიძის, ნიოლწყაროს და სხვა რაიონებში წაკითხული ზოგიერთი ლექციის იდეურ-თეორიული დონე. ლექციურ პროპაგანდაში სათანადოდ არ აროს ასახული ბრძოლა საზოგადოებრივი დოგლათის დამტაცებლების, მუქთახორების, სპეკულაციის, ხულიგნობისა და სხვა მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. ნაკლები ყურადღება ექცევა თანამედროვე რეალიული ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილებას. ჯერ კიდევ სუსტია ლექციური პროპაგანდა ახალგაზრდობაში. რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების დიდი უმრავლესობა შემთხვევითან შემთხვევამდე გაბნილავს ლექციური პროპაგანდის საკითხებს, არ სახავს გადამჭრელ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ერთგვარი წარმატების მიუხედავად, რაც მიღწეულია მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდის დარგში, რესპუბლიკის ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ამ მუშაობის ძირეულ გაუჯობესებას.

ლექციები მეცნიერულ-ათეისტურ თემებზე, როგორც წესი, იკითხება არამორწმუნეთათვის, ხოლო მორწმუნე ადამიანები თითქმის ათეისტური პროპაგანდის გავლენის გარეშე რჩებიან. დიდძალი ხალხი ესწრება სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს. წარსულის ერთერთ მავნე გადმონაშთს წარმოადგენს ქელეხების გამართვის ადათი, რამაც ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით მახინჯი სახე მიიღო.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად ეწევა აღმზრდელობითს მუშაობას, მოსახლეობის ერთი ნაწილის შეგნებაში არსებული წარსულის გადმონაშთებისა და რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ იდეური ბრძოლისათვის ჯერ კიდევ მაქსიმალურად ფართოდ [illegible] ლობებსა და სუსტლებელ, რაც [illegible] ძირითადად ამოცანაა მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ქართველი ხალხი განთქმულია თავისი ინტერნაციონალური სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ძლიერი არიან თავიანთი ინტერნაციონალური ურთიერთობითო. ეს ტრადიციები წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

საინტერესო ღონისძიებები ეწყობა თბილისს, ბათუმს, ხაშურს, ცხინვალს, რუსთავს, ქუთაისს, ჭიათურასა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. მაგალითად, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც 25 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებია, საბეიმო ვითარებაში აღნიშნა მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატის ალექსი სტეფახეს-ძე პეტროკოვის დაბადების 60 და ქარხანაში მუშაობის 35 წლისთავი. ღვაწლმოსილი ოსტატორის ეს იუბილე ცხოველმყოფელ საბჭოთა ინტერნაციონალიზმის მკაფიო დადასტურება იყო, ქალაქ ჭიათურის ლენინის, დიმიტროვის სახელობის და ახალი ითხვისის მაღაროებში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. აქ თვეში სამჯერ იმართება „მეგობრობის დღე“. ეწყობა მოხსენებები, საუბრები, მასობრივი სეირნობა და სხვა ღონისძიებანი. მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში არსებობს მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ამ სოფლისა და გენიჩესკის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობების შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ამსახველი მასალები.

იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანი იყო და არის საბჭოთა სკოლა, სადაც საფუძველი ეყრება ჩვენი ბავშვების ცოდნის და ყალიბდება საბჭოთა ადამიანის ხასიათი.

მთელი რიგი სასკოლო პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდნენ სკოლის საქმიანობას, დახმარება გაუწიონ ადმინისტრაციას მუშაობის სწორად წარმართვაში. ამავე დროს რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ეს კი ამით არის გამოწვეული, რომ მთელი რიგი პირველადი სასკოლო პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ, მთის მუშაობაში არ იგრძნობა საჭირო ქმედითობა და მიზანსწრაფულობა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი ქმედითი ფორმები და მეთოდები, როგორიც არის შრომის ვეტერანებისა და საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელების გულითადი საუბრები, წარმოების დირექტორებისა და პარტიული კომიტეტების მდივნების პერიოდული შეხვედრები ახალგაზდა მუშებთან, რამდენიმე თაობის შეხვედრა და ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა და ა. შ. ხდება ძველი ფორმების სრულყოფა და ახლის ძიება.

პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები ბევრ რამეს აკეთებენ იმისათვის, რომ ყოველ ადამიანს ღრმად ჰქონდეს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა პარტიის, საშობლოსა და ხალხის წინაშე, თვითეული მთავანი თავდადებულად, ენერგიულად შრომობდეს თავის უბანზე.

Ა. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲐᲛᲐᲡ წინათ ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა განაზოგადა პარტიის საქალაქო კომიტეტმა.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია — საწარმოს კოლექტივის ავანგარდი — თავის ყოველდღიურ მოღვაწეობაში აქტიურად იყენებს იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს: მოხსენებებსა და საუბრებს, თეორიულ- და ეკონომიურ კონფერენციებს, კითხვა-პასუხისა და „შრომითი დიდების“ საღამოებს... ქარხანაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას.

ამ დღეებში მთელი ძალით არის გაჩაღებული ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა. პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებით აღწევს იმას, რომ გემთშენებლები ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობას. ქარხანაში მოწყობილი, ლამაზად გაფორმებული სტენდები საწარმოს კოლექტივის ცხოვრებასა და შრომითს მიღწევებს ასახავენ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ პროპაგანდისტებს (მარცხნიდან) ი. სიტნიკოვს, ლ. ბესტაგაშვილს, ა. ვიშანსკის, ე. ილინსს და ი. გორიჩაკოვს ქარხნის ეზოში მოწყობილ სტენდთან — „სკკპ XXIII ყრილობის მესხეიდრად“.

ფოტო ვ. დუმბაძისა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

Დ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარე,

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ წევრობა დიდი ღირსებაა. ატარებდე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრის მაღალ წოდებას — ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა კეთილსინდისიერად ასრულებდე იმ მოვალეობებს, რასაც თვითეული კომუნისტს აკისრებს ჩვენი პარტიის წესდება.

ახლა საქართველოს კომუნისტური პარტია თავის რიგებში ორას სამოცი ათასამდე კაცს ითვლის. ამ კომუნისტებთა დაახლოებით სამი მეოთხედი მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობს და განუზრელად ასრულებს ჩვენი პარტიის წესდების ძირითად მოთხოვნებს. რესუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მტკიცედ იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის, 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობას.

თვითეულ კომუნისტს, წარმატებით რომ შეასრულოს პარტიის წესდების მოთხოვნები, ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიული კომიტეტები, მათი ხელმძღვანელები.

შორს წაგვიყვანდა რესპუბლიკის იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებიც ყოველდღიური მუშაობით გულმოდგინედ ზრდიან კომუნისტებს, აწრთობენ მათს ხასიათს, ზრუნავენ მათი ავანგარდული როლის ამაღლებისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არიან კომუნისტები, რომლებიც თავს არიდებენ პატიოსან შრომას, არღვევენ პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას; უფრო მეტიც, დანაშაულსაც კი სჩადიან. პარტიის ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიის რიგები გაიწმინდოს ასეთი „კომუნისტებისაგან“, რომლებიც უხეშად არღვევენ ლენინური ცხოვრების ნორმებს. სწორედ ეს არის კომუნისტის პერსონალური საქმის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი.

რატომ იქმნება კომუნისტის პერსონალური საქმე, სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზები?

უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ პარტიაში ამა თუ იმ პირის მიღებისას ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია უშვებს სერიოზულ შეცდომებს, არღვევს ადამიანთა შერჩევის იდეოდუალურ ლენინურ პრინციპს და პარტიაში იღებს შეუშოშებელ პირებს, როშლებიც ღირსნი არ არიან იყონ ლენინური პარტიის წევრის სახელის მატარებელნი. აი, მაგალითად, არასწორად მოიქცა თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანის“ მეხუთე საამქროს პირველადი პარტიული ორგანიზაცია. როდესაც პარტიის წევრობის კანდიდატი კ. ი. ადეიშვილი მიიღო პარტიის წევრად ამ დროს, როცა იგი საამქროს ცვლის უფროსად მუშაობისას მხილებულ იქნა ფაბრიკაში სახელმწიფო ქონების დაკაცების მონაწილეობაში და ამისათვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შემდეგ კი სასამართლომ ეს სასჯელი ერთი წლის იძულებითი მუშაობით შეუცვალა. პარტიის თბილისის 26 კომრისის რაიკომი სავსებით სწორად მოიქცა ადეიშვილის პარტიაში მიღების თაობაზე პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილების რომ გააუქმა და იგი კანდიდატობიდან გარიცხა.

ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პარტიის ზუგდიდის რაიკომის არასწორი, აჩქარებული მოქმედება პარტიაში ცალკეულ პირთა მიღების საქმეში. რაიკომმა პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ვინმე ვ. აფხაზავა, რომელიც ოთხი თვის შემდეგ გარიცხა პარტიის რიგებიდან უღირსი საქციელის ჩადენისათვის. მსგავსი შემთხვევები იყო ბოგდანოვკის და ზოგიერთ სხვა რაიკომში.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ წარმოიშვა კომუნისტთა პერსონალური საქმეები. პარტიულ კომიტეტებს რომ მეტი მზრუნველობა, სიფხიზლე გამოეჩინათ და უღირსი, შეუფერებელი პირები არ მიეღოთ პარტიის რიგებში, ასეთი საქმეებიც არ შეიქმნებოდა. ეს ყველაფერი დამოკიდებულია შუამავლის ლენინურ პარტიულ სტილზე. თუ ამ სტილს კარგად დავეუფლებით და მეტი სერიოზულობით მოვეკიდებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, შეცდომებიც თანდან იქნება აცილებული.

ᲐᲡᲔᲗᲘ უნდა მოვთხოვოთ იმ კომუნისტებსაც, რომლებიც პირველი თხოვნისთანავე აძლევენ პარტიაში მიღებისათვის რეკომენდაციას, გახუჭრეველად იმისა, კარგად იცნობენ თუ არა, ასევე პასუხი უნდა აკოს იმ კომუნისტებმა, რომლებიც პარტიულ კრებას ესწრებოდნენ და ხმა მისცეს ყოველმხრივ შეუთანხმებელი პირის პარტიაში მიღებას.

არის პერსონალური საქმის წარმოშობის მეორე მხარეც, რომელიც შეიძლებოდა არ ყოფილიყო, თუ პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები დროულად ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ კომუნისტების აღმზრდელობითს საქმიანობას, დაეხმარებოდნენ მათ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში. საქმე ის კი არ არის, რომ კომუნისტს, როგორც იტყვიან, წამდაუწუმ კუდში ვდგეთ, არამედ ის, რომ დროზე შევამჩნიოთ მისი არასწორი მოქმედება, პარტიული ნორმებიდან გადახვევა, და წინასწარ გამაფრთხილებელი ღონისძიებებით დავაყენოთ იგი სწორ გზაზე.

სადაც პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ კომუნისტთა აღზრდას და მათს მცირე შეცდომებსაც კი უყურადღებოდ არ ტოვებენ, სადაც კომუნისტებს კომუნიზმის სულისკვეთებით ზრდიან, იქ, ბუნებრივია, აღარ იქმნება საჭიროება მკაცრი პარტიული ზემოქმედების ღონისძიებებისათვის. სამართლიანად ამბობენ, როცა პერსონალური საქმე წარმოიშობა, ეს თავისებური სიგნალია იმისა, რომ ამ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში ალბათ ყველაფერი კარგად არ იყო გათვალისწინებული, რომ რაღაცას ყურადღება აკლია, ან დროზე არ მოუსმინეს კომუნისტს, ან ყველაფერი დროულად ვერ გაითვალისწინეს და სხვ.

როცა პარტიულ ორგანიზაციაში ამა თუ იმ კომუნისტის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მსჯელობენ, ზოგიერთი ასეც ფიქრობს, ეს შემთხვევით მოსვლიაო. ზოგჯერ ეს მართლაც ასეა.

მაგალითად, კომუნისტს ხანძრის დროს დაეწვა პარტიული ბილეთი ან საკუთარი თავის თუ საზოგადოების წევრთა დასაცავად ჩხუბში ჩაერია და სხვ. მაგრამ ცოტა როდია ისეთი შემთხვევებიც, როცა პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები დროზე ვერ აბრნევენ ამა თუ იმ კომუნისტის მიერ პარტიული ნორმებიდან გადახვევას, დროულად არ ეხმარებიან მას შეცდომის გამოსწორებაში, რის შედეგადაც ეგი დანაშაულამდე ან სხვა რაიმე ბოროტებამდე მიდის.

აი ერთ-ერთი ფაქტი: პარტიის წევრი გ. დ. კვანტიძე თერჯოლის რაიონის ალისუბნის კოლმეურნეობის მოანგარიშედ მუშაობდა. „მიუხედავად იმისა, რომ მას სათანადო განათლება და გამოცდილება არა ჰქონდა. იგი ამავე რაიონის ავტოსატრანსპორტო კასტორის მთავარ ბუღალტრად დაეწინაურეს. მოკლე დროის განმავლობაში მან ათოთა თავი ვერ გაართვა სამუშაოს, არამედ საქმე იქამდეც მიიყვანა, რომ დამნაშავის სკამზე დასვეს და ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. პარტიის თერჯოლის რაიკომმა კი კვანტიძე პარტიის რიგებიდან გარიცხა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო ის, რომ გ. დ. კვანტიძე მისი სურვილის წინააღმდეგ გაგზავნეს სამუშაოდ. საკმაო გამოცდილება არ ჰქონდა, ამასთან იგრძნო თავისი დანაშაული და პატიება ითხოვა. რომ შემდეგში საქმით გამოისყიდოდა დანაშაულს, სასტიკი საყვედური გამოუცხადა საარიცხვო ბართაში შეტანით და პარტიის რიგებში დატოვა.

არცთუ მცირე რაოდენობით არის შექმნილი პერსონალური საქმეები თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის ანგარების გზით, მატერიალური ღირებულებისა და ფასეულობის გაფლანგვა-მითვისებისათვის, თანხების ულებითი ბოროტად გამოყენებისათვის და სხვ. თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის ახგარების მიზნით 1965 წელს პარტიის რიგებიდან ვარირიცხა შვიდი კაცი.

საჭიროა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ როგორც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ისე რაიონულმა, საქალაქო და საოლქო პარტიულმა კომიტეტებმა.

მართალია, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ იცავენ კადრების დაწინაურებისა და შერჩევის ლენინურ პრინციპს, სისტემატურ ყურადღებას აქცევენ მათი ცოდნის დონის ამაღლებას, ეხმარებიან დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები, როცა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე შეუმოწმებელი პირებს გზავნიან. მაგალითად, თბილისის ხორცკომბინატის დირექტორმა (ყოფილი დირექტორი ი. ოდილავაძე) შეუმოწმებლად მიიღო მცხეთის სასაკლაოს მოედნის გამგედ პარტიის წევრი ა. გიუნაშვილი, რომელიც წინათ კომპრომეტირებული იყო თანამდებობის ბოროტად გამოყენებით. აქ ისე დაიწერა ბრძანება, რომ გიუნაშვილს დირექციისათვის განცხადებითაც კი არ მიუმართავს და შრომის წიგნაკი არ წარუდგენია. მუშაობის სამი თვის მახლობლზე მას ფიდი რაოდენობით დააკლდა ხორცროდუქტები, რისთვისაც პარტიის რიგებიდან გაირიცხა და სასამართლო პასუხისგებაში მიეცა. ხოლო რა ბედი ეწია თბილისის ხორცკომბინატის ყოფილ დირექტორს ი. ოდილავაძეს? მას მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე შეუმოწმებელი პირების გაგზავნისა და სხვა უკანონო ქცევისათვის პარტიის თბილისის 26 კომრისრის რაიკომმა საყვედური გამოუცხადა საარიცხვო ბარაოში შეტანით.

აქ მოყვანილი ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ პერსონალური საქმეების განხილვას ზერელედ არ უნდა მივუდგეთ, რადგან კომუნისტის პერსონალური საქმე ფორმალური პროცედურა როდია, თვითეული შემთხვევა, გამოვლინებული ფაქტი, რომელიც პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტზე მოქმედებს, დაუყოვნებლივ უნდა იქნას აყვანილი პრინციპულ სიმაღლეზე. აქ ორი აზრი არ შეიძლება. თვითეულმა ასეთმა შემთხვევამ პარტორგანიზაციაში კომუნისტთა განსაკუთრებული გულისწყრომა უნდა გამოიწვიოს, ამასთან მან ერთგვარი ბიძგი უნდა მისცეს სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას.

საჭიროა თვითეული პარტიული ორგანიზაცია დაინტერესდეს წარმოებაში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მატერიალურ ფასეულობათა დაცვისა და შენახვის მდგომარეობით, შეამოწმოს, როგორია კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდის პრაქტიკა, როგორ ეხმარებიან მათ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში. მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ ხელმძღვანელს, რომელმაც დაუშვა უკონტროლობა, უყურადღებობა და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე. მატერიალურ ფასეულობათა ადგილზე შეუმოწმებელი პირები გაგზავნა. რაკი კომუნისტის მიმართ პერსონალური საქმე შეიქმნა, იგი ობიექტურად უნდა იქნას შესწავლილი და გადაწყვეტილი.

ზოგჯერ მუშაკი მაშინ გაახსენდებათ, როცა იგი დანაშაულს ჩაიდენს, მანამდე კი მისი უღირსი საქციელი შეუმჩნეველი რჩებათ პარტორგანიზაციას, მთელ კოლექტივს, ცალკეულ ამხანაგებს. რა თქმა უნდა, კომუნისტმა ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი უნდა აგოს, მაგრამ მის მიმართ დროულად რომ მიეღოთ ზომები, გაეფრთხილებინათ იგი, ხომ შეიძლებოდა ამ მდგომარეობამდე არ მისულიყო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ პარტიული სასჯელის აღმზრდელობითი როლი. კომუნისტის მიმართ ობიექტურად გამოტანილ სასჯელს, როგორც ჩვენი პარტ

განვიხილავთ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს

მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის პერსპექტივები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა განიხილა და მოიწონა პროექტი სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. პროექტით გათვალისწინებულია მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ეროვნული უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესება. საკმაოა აღინიშნოს, რომ ნავარაუდევია ახალ ხუთწლედში ფულადი გასაცემლები და შეღავათები, რომლებიც მოსახლეობას ეძლევა მომსახურების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, გადიდდეს სულ ცოტა 40 პროცენტით. ეს სახსრები უწინარეს ყოვლისა მოხმარდება მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეს — მოხუცებულთა, აგრეთვე შრომისა და სამამულო ომის ინვალიდების პენსიებით დაკმაყოფილებას, მათი სხვადასხვა სახის მომსახურების გაუმჯობესებას, საბჭოთა ადამიანების უფასო სწავლასა და უფასო სამედიცინო მომსახურებას, უფასოდ ან შეღავათიან პირობებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების გაცემას, სტიპენდიებს და სხვა ფორმების სოციალურ-კულტურული მომსახურების უზრუნველყოფას.

შარშან ჩვენს რესპუბლიკაში თვალსაჩინო ღონისძიებანი განხორციელდა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ასამაღლებლად. მთელი ოგი კატეგორიების პენსიონერებს გაუდიდდათ პენსიის მინიმალური ოდენობა, გაფართოდა შეღავათები დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის. 1965 წელს პენსიონერთა, ომისა და შრომის ინვალიდთა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა უზრუნველყოფაზე ასიგნებული იყო 174.401 ათასი მანეთი, მომდინარე წელს კი ამ საქმეზე დაიხარჯება 15 მილიონამდე მანეთით მეტი. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ყოველი მერვე მოქალაქე იღებს სახელმწიფო ან საკოლმეურნეო პენსიას, ხოლო ყოველი მეშვიდე მოქალაქე სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახით.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ის შეღავათები, რომლებიც ეძლევათ სამამულო ომის ინვალიდებს. მაგალითად, ომის ამ ინვალიდებს, რომელთაც დაზიანებული აქვთ ქვედა კიდურები, გასულ წელს უფასოდ მიეცათ 262 ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი", ხოლო 49 ინვალიდს უფასოდ მიეცა მოტოტელი. უფასო საგზურებით გაიგზავნა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში სამკურნალოდ და დასასვენებლად 1.373 ინვალიდი, ხოლო ერთდროული ფულადი დახმარება მიეცა 5.500 ინვალიდს. სამამულო ომის 364 ინვალიდმა მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინები; 1.840 ინვალიდს მიეცა ხელსახი სახნავი მშენებლობისათვის 1.656 ათასი მანეთის ოდენობით. 1.845 ინვალიდს უფასოდ დაუმზადდა სხვადასხვა სახის საპროტეზო-ორთოპედიული ნაწარმი. გარდა ამისა, შრომის ინვალიდებს ან დაბადებიდანვე ინვალიდებს უფასოდ და შეღავათიან ფასებში მიეცათ 86 მოტოტელი. 1965 წელს სამუშაოზე მოწყობილ იქნა სამამულო ომის მესამე ჯგუფის 621 ინვალიდი. სამამულო ომისა და შრომის 300 ინვალიდს შეესწავლეს ახალი პროფესიები; ხელით სამართავი ავტომანქანების მართვა შეისწავლა 120 ინვალიდმა, ხოლო მოტოტელებისა—111 კაცმა.

ჩვენი რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამამულო ომისა და შრომის ინვალიდებისათვის პროფესიების შესასწავლად მოწყობილი აქვს სასწავლო-საწარმოო სკოლები თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და ბათუმში, სადაც ყოველწლიურად სხვადასხვა პროფესიას (ტანსაცმლის კერვას, სადურგლო, საბუხალტრო, რადიო-ტელევიზიის საქმეს) ეუფლება 300 ინვალიდი. ჩვენი რესპუბლიკის ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სასწავლო-საწარმოო სკოლებისათვის აშენდეს ახალი კეთილმოწყობილი შენობები თბილისში, ბათუმსა და სოხუმში.

უსინათლოთა და ყრუმუნჯი ინვალიდებისათვის ახალი პროფესიების სწავლებისა და სასარგებლო შრომითს საქმიანობაში მათი ჩაბმის საქმეს ემსახურებიან საქართველოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებები. მათს სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში ამჟამად ნაყოფიერ შრომას ეწევა 1.600 უსინათლო და 970 ყრუმუნჯი.

უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებები თავიანთი წევრებისათვის აშენებენ საცხოვრებელ სახლებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ნაგებობებს. მაგალითად, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ამ დღეებში საქმესლოატაციოდ გადასცემს 111 ბინიან საცხოვრებელ სახლს თბილისში. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობა ვარაუდობს 1966-1970 წლებში საცხოვრებელი ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობაზე დახარჯოს 18 მილიონი მანეთი. უსინათლოთა საზოგადოების ხუთწლიანი გეგმის პროექტით ნავარაუდევია თბილისში აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები 804 ბინის საერთო ოდენობით. განზრახულია ქუთაისში აშენდეს საცხოვრებელი სახლის ორი კორპუსი 72 ბინით 2.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. საზოგადოება ვარაუდობს აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, ცხინვალში, გორში, მცხეთაში, ბოლნისში, მარნეულში, ზესტაფონსა და თელავში ააშენოს სახლები 336 ბინით, რომელთა საცხოვრებელი ფართობი იქნება 11.800 კვადრატული მეტრი. საბინაო მშენებლობაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 5.800 ათასი მანეთი.

უსინათლოთა საზოგადოებას განზრახული აქვს წყალტუბოში ააშენოს პანსიონატი 50 საწოლით, ხოლო თბილისში თვალის დავადებათა საავადმყოფო 220-250 საწოლით; ტაბახმელაში ნავარაუდევია აშენდეს დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი და მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში ინვალიდებისა და ომმა მოხუცებულთა სახლი 100 ადგილით.

უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე ბავშვებისათვის თბილისში გათვალისწინებულია აიგოს სპეციალური სკოლა-ინტერნატი 150 მოსწავლისათვის და საბავშვო ბაღი და ბალი 140 ადგილით. ამ საქმეზე განზრახულია დაიხარჯოს 600 ათასი მანეთი.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობაზე დაიხარჯება 1 მილიონი მანეთი თბილისში განზრახულია აშენდეს უსინათლოთა კლუბის 600-ად გელიანი შენობა, ნავარაუდევია კლუბები აიგოს აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში.

საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოება ამჟამად 65 ბინიან რვასართულიან საცხოვრებელ სახლს აშენებს თბილისში წერეთლის პროსპექტზე, 29 ბინიან სახლს—ბათუმის ქუჩაზე, ბათუმში წელს დამთავრდება 24 ბინიანი სახლის მშენებლობა; სოხუმში შენდება 22 ბინიანი სახლი. განზრახულია ქუთაისში წელს საფუძველი ჩაეყაროს 40 ბინიანი სახლის მშენებლობას. გათვალისწინებულია აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გორსა და მცხეთაში. ამ სახლების მშენებლობაზე დაიხარჯება ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

მეორე წელია, რაც პრაქტიკულად ხორციელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წლის 15 ივლისს მიღებული კანონი კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარებების შესახებ. შარშანდელი წლის მანძილზე საკოლმეურნეო პენსია დაენიშნა სულ 199.549 კოლმეურნეს.

კოლმეურნე პენსიონერებს შეუძლიათ კვლავ იმუშაონ კოლმეურნეობაში. ისინი მთლიანად მიიღებენ პენსიას, აგრეთვე თავის გამოშუშავებულს. ორი წლის შემდეგ მას უფლება ექნება მოითხოვოს პენსიის გადაანგარიშება. მას დაენიშნება გადიდებული პენსია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიღწეული საშუალო თვიური გამომუშავების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში არსებობს მზრუნველს მოკლებულ ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა 8 სახლი 875 კაცისათვის. დღეისათვის ამ სახლებში სრულ სახელმწიფო მზრუნველობაზე იმყოფება 709 ღრმა მოხუცებული და ინვალიდი, მათ შორის 170 ბავშვი და მოზარდი.

ღრმად მოხუცებულნი და ინვალიდები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი ბინებით, ნოყიერი კვებით, ჩაცმადახურვითა და საექიმო და კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურეობით. ამ მხრივ სანიმუშოა ქუთაისის ინვალიდთა სახლი.

ინვალიდთა 8 სახლიდან 2 განკუთვნილია ფიზიკურ-დეფექტიან და გონებრივად დაქვეითებული ბავშვებისა და მოზარდებისათვის. 25 წელია, რაც კახის რაიონის სოფელ ახალქალაქში არსებობს ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა სახლები.

ხუთწლედის პირველ წელს სამამულო ომის ინვალიდები უფასოდ მიიღებენ 266 ხელით სამართავ მსუბუქ ავტომანქანა „ზაპოროჟეცს".

უეჭველია, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მუშაკები კვლავ დაუღალავად იშრომებენ პენსიონერების, სამამულო ომისა და შრომის ინვალიდების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

ბუნებრივ სიმდიდრეს — გონივრული გამოყენება

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და სწორად გამოყენების საკითხებს.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებით.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეისათვის ამ შესანიშნავ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საქმეში?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყეებს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მათი დაცვა არადამაკმაყოფილებელია. არასწორი ექსპლოატაციის შედეგად ტყეების გავრცელების ფართობი საგრძნობლად შემცირდა.

მიწის ფონდის დაცვაც არ არის სათანადო სიმაღლეზე. ხშირია ნიადაგის ეროზიის შემთხვევები, რაც დამრეცობაზე ასეთი ნიადაგების გამოყენებას სახოფლო-სამეურნეო სარგებლიანობისათვის.

საქართველო მეტად მდიდარია ფაუნით. აქ ვხვდებით კავკასიის თითქმის ყველა ენდემურ ფორმას: ჯიხვს, კავკასიურ არჩვს, ირემს, შველს, კვერნას, კავკასიურ ხოხობს, როგორ [illegible] ბეგერიანი [illegible] ბატკანს, შურთხს და სხვ.

მაგრამ უგემო და მტაცებლური ნადირობის შედეგად ჩვენი ფაუნის მნიშვნელოვანი წარმომადგენელები საგრძნობლად შემცირდა და ზოგიც გადაშენების ზღვაზეა.

ასევე არასაბრძანელია თევზის რესურსების დაცვის მდგომარეობა. ჯერ ოვანი ყურადღება არ ექცევა წყლების დაცვას მრეწველობის ნარჩენებისგან, არაიშვიათია თევზის მტაცებლური ჭერის შემთხვევებიც.

ატმოსფეროული ჰაერის დაცვაც უნდა მიექცეს ჯერ ოვანი ყურადღება. რეპუბლიკის მსხვილ საწარმოებში არ არის კვამლისა და გაზის დამჭერი მოწყობილობა და ამის გამო კვამლი და გაზი პირდაპირ ატმოსფერულ ჰაერს უერთდება, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისე მცენარეებზეც.

ზემოაღნიშნულ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საკითხებზე მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის სხვადასხვა უწყების დაწესებულებები. მაგრამ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისათვის დღემდე გაწეული მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ამ სიმდიდრეთა შენარჩუნებას და რაციონალურ გამოყენებას ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

[illegible] ბუნებრივი [illegible] დაცვის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის ჩვენის აზრით მიზანშეწონილად მიგაჩნია ბუნებრივი რესურსების დაცვის დარგში მუშაობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, კონტროლის ფუნქციის გაძლიერება და ამისათვის სპეციალური ორგანოს დაარსება.

ასეთი ცენტრალური ორგანოს, თუნდაც კომიტეტის შექმნისათვის არ იქნება საჭირო დამატებითი სტატატო ერთეულები, არამედ გამოყენებული იქნება არსებული საუწყებო დაწესებულებების (სამინადირეო მეურნეობის სამმართველო, თევზის დაცვის ინსპექცია, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტი, ტყის დაცვისა და სახელმწიფო სანიტარული ინსპექცია) შტატები; შესაძლებელია სათანადო ეკონომიაც.

ამრიგად, რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საქმე უნდა გამოვიდეს უწყებრივი. მდგომარეობიდან და გადაეცეს ცენტრალიზებულ ორგანოს — ზემოაღნიშნულ სახელმწიფო კომიტეტს.

ბ. ყურაშვილი.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გაპაიფოთ ღვინის ფარმოება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მიერ მიღებული პროექტი XXIII ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდ ადგილს უთმობს წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, საწარმოო ფონდების ყოველ მანეთზე გადაანგარიშებით რენტაბელობის ფონის ამაღლებას, ხვედრით კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებას და სხვ.

საწარმოო ფონდების და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მეღვინეობის პრეწველობისათვის.

ამჟამად რესპუბლიკაში ასზე მეტი პიროველადი ღვინის ქარხანაა. მაგრამ ყოველი მათგანი, როგორც ტექნოლოგიით, ისე მოწყობილობით — შენობა-ნაგებობით, წარმოების ორგანიზაციითა და სხვა მაჩვენებლებით, ცალკეულ, სრულიად განსხვავებულ ქარხანას წარმოადგენს.

მეღვინეობის მრეწველობაში ეკონომიური ეფექტურობის საკითხებს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ხოლო კაპიტალური დაბანდებანი ზოგიერთ ღონისძიებაზე ყოველთვის არ იძლეოდნენ სასურველ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ეფექტს. ასეთმა მდგომარეობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ საწარმოო ფონდების ღირებულებამ, რომელიც ამ მრეწველობაში დღეისათვის არის შექმნილი, ბილიონი დიდ თანხას.

კაპიტალურ დაბანდებაზე თანხებისა და მატერიალურ საშუალებათა არარაციონალური ხარჯს, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი. აქ ძხედველობაში გვაქვს უმთავრესად ის ზედმეტობანი, რომელსაც ეხვდებით მეღვინეობის მრეწველობის ახალი საწარმოთა მშენებლობის ან არსებულის გაფართოებარეკონსტრუქციის დროს.

ქვემოთ შეეჩერდებით ისეთ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება ჩვენი აზრით შეამცირებს კაპიტალდაბანდებას და გაზრდის მის ეფექტიანობას.

ღვინის ქარხნების ძირითადი ფონდების უდიდეს ნაწილს ღვინის ჭურჭლის და ამ ჭურჭლის მოსათავსებელი შენობის ღირებულება შეადგენს.

საქართველოში ახალგაზრდა ღვინომასალის გამომუშავება ხდება პირველად ქარხნებში, საიდანაც პროდუქცია შემდეგ დამუშავებისათვის გადააქვთ მეორად ღვინის ქარხანაში. ამიტომ როგორც ერთ ადგილზე, ისე მეორეზეც საჭიროა საკმაოდ რაოდენობის საღვინე ჭურჭელი და ღვინის შესანახი სათავსები.

არსებულ პირობებში ერთი დეფიციტური ახალგაზრდა (დაძველებული) ღვინის წარმოებისა და სარეალიზაციოდ გამზადებისათვის საჭიროა თითქმის ორი დეფიციტური სტაციონარული საღვინე ჭურჭელი. ამრიგად, საღვინე ჭურჭლის ტევადობის გამოყენების კოეფიციენტი 0,5-ს არ აღემატება, ეს კოეფიციენტი ძალიან დაბალია. მაგრამ არსებობს მისი გადიდების შესაძლებლობებიც, რომელთა შორის შეგიძლია დავასახელოთ:

პირველად ქარხნებში ყურძნის ტკბილის დუღილის მთლიანად გადაყვანა განუწყვეტელ ნაკადზე. ეს საშუალებას მოგვცემს უარი ვთქვათ საღვინე ჭურჭლის იმ რეზერვზე, რომელიც ამჟამად გავრცელებული ტკბილის პერიოდული დუღილის მეთოდის დროს შეუვსებელი რჩება.

საკუპაჟე ბაზების შექმნა, სადაც პირველადი ღვინის ქარხნების გარკვეული ჯგუფიდან თავს მოიყრის მიღებული ახალგაზრდა ღვინომასალა.

საკუპაჟე ბაზების ჩამოყალიბება არა მარტო გაიაფებს პირველადი და ჩამომსმელი ქარხნების მშენებლობას, არამედ საგრძნობლად გაუმჯობესებს წარმოების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პირობებსაც, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და შეამცირებს მზა ნაწარმის თვითღირებულებასაც.

ჩვენი რესპუბლიკის ყურძნის გადასამუშავებელი მანქანების პარკის სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, მუშაობის სეზონური ხასიათის მხედველობაში მიღების დროსაც ძლიერ დაბალია. ამ კოეფიციენტის სიდიდე 1965 წლის რთველის პირობებშიც, რომელიც ყურძნის გადამუშავების საერთო რაოდენობის მიხედვით, სარეკორდო წელი იყო, არ აღემატებოდა 0,5-ს, ე. ი. სიმძლავრის ჯამური 50 პროცენტს შეადგენდა. ეს შეიძლება აიხსნას მანქანების დამზადების ცუდი ხარისხითა და ღვინის ქარხნებში მანქანების მომსახურე პერსონალის დაბალი კვალიფიკაციით.

ამ ორი ძირითადი მიზეზის გამო ყურძნის გადამუშავების პერიოდში მანქანები წყვეტიან ხშირად გამოდიან. ამიტომ შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ქარხნის ხელმძღვანელები ცდილობენ იქონონ ყურძნის გადასამუშავებელი მანქანების გარკვეული რეზერვები. ეს უდავოდ ზრდის კაპიტალურ დაბანდებებს და საწარმოო ფონდების ღირებულებას. ამისათვის საჭიროა თბილისის მანქანათსამშენებლო ქარხნებმა ჩქეფრად გაუმჯობესონ ყურძნის გადასამუშავებელი მანქანების ხარისხი, ხოლო ღვინის ქარხნებში მზარდი ტექნიკური აღჭურვილობისათვის უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური მომსახურება.

მეღვინეობის ნარჩენების კომპლექსური გადამუშავებით შეიძლება მიღებულ იქნას წარმოების ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო შედეგი.

სხვა გადაუჭრელ საკითხებს შორის, რომელნიც მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავების საქმეშია, პირველ რიგში საჭიროა სწორად გადაიჭრას მისი ორგანიზაციული მხარე. ფიქრს აქ ორი ძირითადი მიმართულება გამოირჩევა.

ერთ შემთხვევაში ნარჩენების გადამუშავება ნავარაუდევია პირველად ღვინის ქარხნებში, სადაც ამისათვის საჭირო დანადგარები უნდა იყოს გათვალისწინებული. მეორე შემთხვევაში — ნარჩენები შეიძლება გადამუშავებულ იქნეს სპეციალიზებულ საუტილიზაციო ქარხნებში, რომლებიც გადასამუშავებელ ნედლეულს მიიღებენ პირველადი ქარხნების გარკვეული ჯგუფისაგან: ამ საწარმოებს საუტილიზაციო დანადგარები, ცხადია, აღარ ექნებათ, ამჟამად საქართველოში ისე როგორც საბჭოთა კავშირში მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავება ძირითადად პირველად ღვინის ქარხნებში ხდება.

ჩვენი აზრით, წარმოების რაციონალური ორგანიზაციისა და ეკონომიური ეფექტიანობის მოსაზრებანი გვიკარნახებენ, რომ მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავება უნდა წარმოებდეს კომპლექსურად, ნედლეულის შემადგენლობის ყველა სასარგებლო კომპონენტის მაქსიმალური გამოყენებით.

ამრიგად, საჭიროდ მიგვაჩნია მეღვინეობის ნარჩენებისა და პირველ რიგში ტკბილი ჭაჭის გადამუშავება ხდებოდეს პირველად ღვინის ქარხანაში და მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ყურძნის გადამუშავება წარმოიეს. ამიტომ სპეციალიზებული კვანძური საუტილიზაციო ქარხნების მშენებლობა, რომლებსაც სპეციალისტების გარკვეული ნაწილი უჭერს მხარს, არ შეიძლება ეკონომიურად გამართლებულ ღონისძიებად ჩაითვალოს.

ა. ღამბაშიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ქუთაისის მარკით—საზღვარგარეთ

ქუთაისი. (სკკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნიდან მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ავტომობილის კვანძები და სათადარიგო ნაწილები გაიგზავნა ბულგარეთში, ავღანეთში, გვინეაში, ერაყში, ინდოეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

ავტეზიული ტუმბოები და საშახტო ელმავლები გაიგზავნა რუმინეთში, ბულგარეთსა და მონღოლეთში, ხოლო დიზელის ძრავიანი ტუმბოები — კუბის რესპუბლიკაში.

ლითოფონის ქარხნის პროდუქცია — მშრალი ლითოფონი იგზავნება სირიაში, ჰოლანდიაში და სხვა ქვეყნებში.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის

ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა

სამართლიანი მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ელდეს დასავლეთ გერმანიის მთავრობა მიიჩნიონ გერმანელი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლად საერთაშორისო საქმეებში, გადაჭრით წინააღუდგა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა.

ბულგარეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მილო ტარაბანოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანისადმი წერილში, რომელიც გუშინ გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აცხადებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა თავდასხმები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ვერ გაამართლებენ ამ აშკარა ფაქტს, რომ ამჟამად არის ორი გერმანული სახელმწიფო. წერილში აღნიშნულია, რომ გერმანიის გაერთიანების ბრალი ედებათ დასავლეთის სახელმწიფოებს და რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა უფლებით.

ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 23 მარტი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა ჯონსონმა დიპლომატიური სამსახურის ინსტიტუტის წევრებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხისმგებელი თანამშრომლების წინაშე წარმოთქვა სიტყვა ნატოს მომართ შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ.

ჯონსონმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ „მეიანარჩენოს და გაძლიერონ ნატოს შემაკავებელი ძალიერება".

ძხედველობაში ჰქონდა რა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის წინადადებანი ნატოს რეორგანიზაციის თაობაზე, ჯონსონმა თქვა, რომ ახლა ზოგიერთი მოითხოვს ნატოს დაშლას.

„რა თქმა უნდა, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ნატო უნდა შეეგუოს დროის შეცვლილ საჭიროებებს. მაგრამ აგრეთვე ძტკიცედ მიგვაჩნია, რომ ასეთი ცვლილებანი უნდა შეიმუშაონ ორგანიზაციის წევრებმა, რომლებიც ერთად მოქმედებენ კავშირის ფარგლებში".

ინდირა განდი პარიზში ჩავიდა

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი დღეს პარიზში ჩამოვიდა, სადაც ორ დღეს დაჰყოფს და შეხვდება პრეზიდენტ დე გოლს.

ს. მ. კიროვის ადგილი კრება

სოფია, 25 მარტი. (საკდესი). კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგი მირონის-ძე კიროვის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც 27 მარტს სრულდება, ბულგარეთ-საბ ჭ ო თა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტმა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ გუშინ ბულგარეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება გამართეს.

კრებაზე ს. მ. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება იმ კითხა უმაღლესი პარტიული სკოლის რექტორის მოადგილემ ც. ნიკოლოვმა.

ბულგარეთის საზოგადოებრიობა

ძლიერდება სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან

ბულგარეთის საზოგადოებრიობა თავის ხმას უერთებს მთელი მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხების პროტესტს და კვლავ ადასტურებს, რომ სრულ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის უფლებისათვის, რომ იყოს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი. წერს გაზეთი „სკინტეია".

პანამა. „მოვითხოვთ მშვიდობას ვიეტნამში!", „პროტესტს ვაცხადებთ ომის წინააღმდეგ, რომ ამერიკელები სისხლისმღვრელ ომს ეწევიან ვიეტნამში!", „იანკებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!" — ასეთი ლოზუნგებით პანამის სტუდენტთა ფედერაციისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის წარმომადგენლები ხუთ საათს პიკეტობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პანამის საელჩოსთან.

პარიზი. ფრანგი ექიმები აღშფოთებულნი არიან ამერიკის ფეხდგომობის ვიეტნამში, ექიმთა კომიტეტმა, რომელიც საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში შედის, თავის სხდომაზე პარიზში მიიღო რეზოლუცია. რეზოლუციაში კომიტეტმა მოითხოვა ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ეს საპროტესტო რეზოლუცია გაეგზავნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონსონს.

კომიტეტის სხდომაზე ექიმთა წინაშე გამოვიდნენ იმ არაადამიანური მეთოდების მსახველნი, რასაც ამერიკის ჯარები იყენებენ როგორც ჩრდილოეთ ვიეტნამის, ასევე სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ამერიკის ავიაცია სისტემატურად ბომბავს საავადმყოფოებსა და პოსპიტლებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ნიუ-იორკი. კუინსის (ნიუ-იორკის რაიონი) საუნივერსიტეტო კოლეჯის 50 სტუდენტმა დაიწყო 56 საათის შიმშილობა ვიეტნამში შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ამ საპროტესტო დემონსტრაციის ერთ-ერთმა მონაწილემ, 19 წლის სტუდენტმა ენდრიუ ბერმანმა განაცხადა: ამ შიმშილით კოლეჯის სტუდენტებს გვსურს „გამოვავლინოთ ამერიკელი ხალხი და მოვუწოდოთ გაილაშქროს ვიეტნამში ამერიკის მთავრობის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ". (საკდესი).



გენერალი უფაერი: — იძულებული ვარ ყველაფერი თვითონ ვაკეთო!
კარიკატურა პოლონელი მხატვრის კაროლ ფერსტერისა.

„ეგენას" უნესივრობა

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკდესი). კოსმოსურ ხომალდ „ჯემინაი-8"-ში, რომელშიც იყვნენ კოსმონავტები არმსტრონგი და სკოტ, მომხდარი ტექნიკური უწესივრობის მიზეზების გამოკვლევის დროს, ჰიუსტონის კოსმოსური პილოტრებელი ფრენის ცენტრში ამერიკელი ექსპერტები წაიწყდნენ „მეტად სერიოზულ პრობლემებს", რომლებიც წარმოიშვა რაკეტა „აგენას" ფრენისას.

ეს განაცხადა „აგენის" პროგრამის ინჟინერმა ფელეინ ბრუქმა, როგორც ცნობილია, რაკეტა „აგენა" ხომალდ „ჯემინაი-8"-ის შეყრის სამიზნე იყო. მას შემდეგ, რაც ამერიკელ კოსმონავტთა ფრენა შეწყდა, „აგენა" რამდენიმე დღის განმავლობაში თავის ორბიტაზე იყო. წინა კვირაში „ჯემინაის" პროგრამის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს „აგენა" გაეყვანათ უფრო მაღალ ორბიტაზე და დაეტოვებინათ იქ „ჯემინაი-10"-ის გაშვებამდე, რომლის პროგრამა ითვალისწინებს მთელ რიგ მანევრებს რაკეტასთან.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს კორესპონდენტი აუწყება ჰიუსტონიდან, რაკეტა „აგენა" მოულოდნელად დასახელა. სიმაღლიდან (253 მილი) უფრო ზორს წავიდა — თავდაპირველად 390 მილზე, შემდეგ კი 442 მილზე. ბოლოს ამ ბოლოს მოხერხდა „აგენის" ჩამოყვანა დაახლოებით 253 მილზე, მაგრამ მელვინ ბრუქმა ასეთი „გადაფრენის" „ძალიან სერიოზული" უწოდა და ვარაუდი გამოთქვა რაკეტის ჰიდრავლიკურ სისტემაში შესაძლო უწესივრობის შესახებ.

ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე მოეწყო ატომური მოწყობილობის მორიგი მიწისქვეშა აფეთქება.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). 1966 წლის პირველი თებერვლის მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა შეადგენდა 195.073.000 კაცს. 1960 წელთან შედარებით ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა გაზრდილა 15.750.000 კაცით.

მიწისძვრა ჩინეთში

პეკინი, 24 მარტი. (საკდესი). ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში 22 მარტს დღისით ორჯერ ზედიზედ მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ამ ორი მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი სინტაის რაიონშია. ბიძგების ძალა 9 და 10 ბალი იყო. მიწისძვრა სხვადასხვა ძალისა იყო ხუბეის პროვინციის სამხრეთ და ცენტრალური ნაწილის მთელ რიგ რაიონებში, ქალაქ პეკინსა და მის გარეუბნებში.

როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ეპიცენტრის რაი

ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლები

ბრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი ჩვენი რესპუბლიკის წამყვან თეატრალურ კოლექტივთა რიგშია. მან თავისი საუკეთესო დადგმებით ჩვენი ქალაქის მრავალეროვნული აუდიტორიის სიყვარული და აღიარებაც მოიხვეჭა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ თეატრის კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთა საქართველოში რუსული კულტურის საუკეთესო მიღწევათა პროპაგანდის საქმეში, ბერორ მბრეკ, გააცნო და შეაყვარა რუს მაყურებელს ქართული მწერლობის ნიმუშები.

ა. გრიბოედოვის თეატრის ერთ-ერთ მთავარ, აუცილებელ თვისებას მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, ინტერესი თანამედროვეობისადმი.

კლასიკოსთა ნაწარმოებებთან ერთად, თეატრის სცენაზე იდგმებოდა და იდგმება საბჭოთა დრამატურგიის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნაწარმოებები, როგორიც არიან გორკი, ლავრენევი, პოგოდინი, აფინოგენოვი, კორნეიჩუკი, შტოკი, არბუზოვი, საფრონოვი, ლეონოვი, სიმონოვი, როზოვი და სხვანი.

წლიდან წლამდე თეატრის რეპერტუარში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა თანამედროული ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ჟანრის პიესებს ეკუთვნის. რასაკვირველია, ამ თეატრს, იცავე როგორც სხვა შემოქმედებით კოლექტივებს, ქონია და აქვს მცირე ჩაგარდნები, მარცხი; არის შემთხვევები, როდესაც თეატრის სცენაზე საკმაოდ მდარე ხარისხის პიესები იდგმება. მაგრამ მთავარია, რომ ეს შემოქმედებითი კოლექტივი თავისი მოღვაწეობის ძირითად ამოცანას სინამდვილესთან, ცხოვრებასთან კავშირში ხედავს, ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად, ოპერატიულად გამოეხმაუროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა აქტუალურ მოვლენას.

ამ უაღრესად ნაყოფიერი და ძიებაფსი ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს მიმდინარე წლის სეზონიც.

ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს უანასკნელი დადგმები — ს. ლუნგინისა და ი. ნუსინოვის „ბატის ფრთას“ და ლენინური პრემიის ლაურეატის ჩ. აიტმატოვის „ჭიმო ფიქელთაშასშრისანო ტანფრფრშტაპ“.

მიუხედავად ამ ნაწარმოებთა არსებითი განსხვავებისა, არის ერთი რამ, რაც აკავშირებს მათ. ეს არის საზოგადოების წინაშე, საკუთარი თავის წინაშე ადამიანის დიდი პასუხისმგებლობის პრობლემა.

„ბატის ფრთაში“ აღწერილია ერთ-ერთი პედაგოგიური კოლექტივის ცხოვრება, ნაჩვენებია, როგორ შინაგან კრახამდე მიდიან ადამიანები, რომლებსაც „თავის დამცველად“ სიცრუის ფარი აქვთ გამოყენებული ცხოვრების სიმართლესთან ურთიერთობაში, რომლებსაც ეშინიათ სიმართლისა და შიშით დამამცირებელ, ლაჩრული სიცრუის ჭაობში იფლობიან. სწორედ სიმართლის წინაშე შიში, უნებისყოფობა ხდება მეორე ნაწარმოების — ჩ. აიტმატოვის პიესის გმირის ილიასის უბედურების მიზეზიც. ილიასმა უღალატა არა მარტო საყვარელ ქალს, არამედ ადამიანურ იდეასაც და ამით ცხოვრებაში მარცხი განიცადა... ამრიგად, ამ ორი ნაწარმოების დადგმით ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა ყურადღების ცენტრში მოაქცია ადამიანის საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა. განვიხილოთო, როგორი მხატვრული განხორციელება ჰპოვა ამ დიდმნიშვნელოვანმა საკითხმა თეატრის დადგმებში.

პიესა „ბატის ფრთა“ წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირის მთელი რიგი თეატრების სცენაზე. ამ ნაწარმოების მთავარი ღირსება მის მკვეთრად ჩამოყალიბებულ ინტრიგაში, სიუჟეტის დინამიკურ განვითარებაში, კომედიური და დრამატული ელემენტების ორგანულ შერწყმაშია. მასში ძალიან ნათლად, კონკრეტულად გატარებულია გორკისეული აზრი — „ვინც სულით ბრმაა... მას სჭირდება სიცრუე... ზოგს იგი ეხმარება, ზოგი კი თავს იფარავს... ის კი, ვინც საკუთარი თავია. პატრონია... რად უდა მას სიცრუე!.. სიმართლე თავისუფალი ადამიანის ღმერთია“...

ბი სწორედ ეს გორკისეული აზრი დაუდო საფუძვლად „ბატის ფრთას“ მისმა დამდგმელმა ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. ჯანდიერმა.

წარმოდგენის პირველივე სცენებიდან, როდესაც რადიოს დილის გადაცემათა აკომპანემენტით თავის საქმიანობას იწყებს ერთ-ერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სპექტაკლის უკანასკნელ ეპიზოდამდე ყველაფერი საოდად, უბრალოდ, რაიმე მოდერნიზმული ტრიუკების გამოუყენებლად არის წარმოდგენილი. სცენაზე აღმართული უბრალო, მოხერხებული დანადგარი (მხატვარი თ. ყიფშიძე) კარგად გადმოგვცემს სკოლის ინტერიერებს, ხელს უწყობს სპექტაკლის თავისებური ატმოსფეროს შექმნას.

ახალგაზრდა რეჟისორის ყურადღება მთლიანად ნაწარმოების მოქმედ პირებზეა გადატანილი, იგი ცდილობს რაც შეიძლება ღრმად გახსნას პიესაში წარმოდგენილი ხასიათები, შინაგანად დინამიკური გახადოს პიესის კონფლიქტები. მოქმედების განვითარება ერთი მთლიანი რიტმით არის მოცემული, შეკავშირებული. ცოცხალი იუმორით, ოდნავ შეაჩერეს ირონიით აღინიშნება აქტიორული მზვინვრად შესრულებული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ვასილისა თევდორეს ასულის (ვ. ზახაროვა) და ტიტიჩეკის მუზეუმის თანამშრომლის (მ. ქებაძე), იმავე ვასილისას თევდორეს ასულის და მასწავლებელ მაია ლვოვნას (ვ. სიომინა) სცენები.

რასაკვირველია, როგორც პიესას, ისე სპექტაკლს უთუოდ ახასიათებს ფერების ერთგვაროვნი გამუქება, გადაჭარბება, ნატურალიზმი (თუნდაც მასწავლებელთა მიერ ქათმების ყიდვის სცენა, როდესაც ყველანი გაშმაგებული მირბიან ბუფეტში). ჩვენი აზრით, ზედმეტად ხაზგასმულია წვრილმანობა, ინდივიდუალიზმი. პირდაპირი მეშჩანობა მთელ რიგ სახეებში, მაშინ როდესაც ნაწარმოების მთავარი დადებითი გმირი მათემატიკის მასწავლებელი ალექსანდრე პავლეს-ძე (დ. სლავინი) პიესაში წარმოსახულია უაღრესად მკრთალად.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. ჯანდიერმა ყველანაირ ვერ დაძლია ნაწარმოების ზოგიერთ სახეთა ცალმხრივობა, სწორხაზოვნობა, მაინც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ რამეში უთუოდ გაიმარჯვა, გამოამეღავნა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, რეჟისორული ფანტაზია, მსახიობთან მუშაობის ჭეშმარიტი ნიჭი და ამით ხელი შეუწყო საკმაოდ საყურადღებო სცენური ნაწარმოების შექმნას.

სპექტაკლის ერთ-ერთ საუკეთესო სახეს, ჩვენი აზრით, მსახიობ ვ. ზახაროვას მიერ ნიჭიერად განსახიერებული ვასილისა თევდორეს ასული წარმოადგენს. ვ. ზახაროვას ვასილისის ქმკვიანი, ირონიული ალექსანდრე, ე. ფირუმოვას მოფუფფუსე, ოჯახური საქმეებით დაკანცული, დაბნეული „პირველი მასწავლებელი“ და სხვ.

ახალგაზრდა შემცრულებელთაგან უთუოდ ყურადღების ღირსნი არიან შინაგანი დინამიზმით გამსჭვალული მოსწავლეთა სახეები, ისეთები, როგორიც არიან ვოლიკ გორა (ვ. ბასილაშვილი), ტანია (ლ. კრილოვა) და „პირველი გოგონა“ (რ. შასტიკი).

სპექტაკლი „ბატის ფრთა“, რომელშიც დაკარგული სამუზეუმო ექსპონატის—ბატია ფრთის ისტორია მხოლოდ ფონს წარმოადგენს, ფაქტიურად სერიოზული საუბარია ახალგაზრდობის სიმართლისა და პირდაპირობის პრინციპებით ბიერი ბრძოლის შესახებ.

გრიბოედოველთა მეორე სპექტაკლი — ჩ. აიტმატოვის ცნობილი ნაწარმოების ინსცენირებაა (ინსცენირების ავტორი ა. კოტელნიკოვა).

უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ყოველი ინსცენირების დროს, ისე ამ შემთხვევაშიც ნაწარმოებმა ბევრი რამ დაკარგა, წვრილმან ეპიზოდებად დაყოფამ უთუოდ ავნო ნაწარმოების მთლიანობას და დრამატურგიულად იგი სუსტად გამოიყურება. სპექტაკლის დადგმელმა რეჟისორმა კ. სუმბაევამ ბევრი რამ გააკეთა სწორედ ამ დარღვეული მთლიანობის, მოქმედების უწყვეტობის აღდგენისათვის. ამაში მას უთუოდ დიდი დახმარება გაუწია გამოცდილმა ოსტატმა, მხატვარმა ი. ზტენბერგმა, რომელმაც შექმნა მაღალ მთვარეში დაკალკინული ავტოგზის შესანიშნავი პერსპექტივა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რეჟისორისა და კომპოზიტორ კ. პეგზნერის მიერ შერჩეული მუსიკალური და ხმოვანი გაფორმებაც, რაც უაღრესად უწყობს ხელს ამა თუ იმ სცენისათვის საჭირო განწყობილების შექმნას და ორგანულად აკავშირებს ცალკეულ სცენებს ერთმანეთთან.

სპექტაკლის დამდგმელის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შეძლო შეექმნა სცენაზე მოქმედების დაძაბულობა, ფსიქოლოგიურად მკვეთრი გახადა კონფლიქტები, ამასთან შეინარჩუნა ნაწარმოების პოეტური საწყისი. ამ მხრივ სპექტაკლის ერთ-ერთ საუკეთესო ეპიზოდს წარმოადგენს ასეულთან ილიასის შეხვედრის სცენა. იგი უაღრესად პოეტური და ამაღელვებელია, გხიბლავთ თავისი სიწმინდითა და რომანტიკულობით. ჩვენი აზრით, საერთოდ ეემოვნებით, ეროვნული კოლორიტის დაცვით დადგმულ წარმოდგენაში ზედმეტად, უაღრესად ხელოვნურად გამოიყურება სპექტაკლის უკანასკნელი სცენა. იგი პიესის მოქმედების განვითარებას არაფერს მატებს, რადგანაც წარმოდგენა ფაქტიურად ილიასის წასვლითა და ასელისა და ბაიტემირის შეხვედრით მთავრდება.

ნაწარმოების მთავარ გმირს — სატვირთო მანქანის მძღოლს სპექტაკლში მსახიობი მ. სტავიცკი განასახიერებს. მიუხედავად იმისა, რომ მოგონებების ხერხის გამოყენების გამო მან გმირს ხშირად უხდება განწყობილებათა მკვეთრი შეცვლა, მსახიობი ადვილად ძლევს ამ სიძნელეს და ეპიზოდიდან ეპიზოდში დამაჯერებლად გვიჩვენებს ილიასის ხასიათის განვითარებას. გ. სტავიცკის მოფიქრებულად აქვს გახსნილი ასელთან და კადიჩასთან ილიასის ურთიერთობის ყოველი დეტალი, სულიერი ყოყმანი, გაუბედაობა. მაგრამ მთელი ეპიზოდი ავტომანქანის საბჭურის გადაბრუნებისა, მისი ამხანაგებთან ურთიერთობისა (შესაძლოა, ამაში თვით ინსცენირებაც არის დამნაშავე) სპექტაკლში შედარებით მკრთალად გამოიყურება.

მსახიობი ნ. კილოსანიძე ახალგაზრდა ყირგიზი ქალის ასელის შინაგან სამყაროს დიდი სიფრთხილით, სათუთად გვიხატავს. იგი პოეტურია, ბავშვურად გულუბრყვილო. საოცრად სუფთა და ნათელია მისი გამოსახედვა, ნაზი და მომხიბვლელია მისი ხმა. გამოჩნდება თუ არა წითელთავსფრიანი, შველივით შეშფოთალი და აღელვებული ასელი, იგი მაშინვე გვიპყრობს არა მარტო გარეგნული მშვენიერებით, არამედ იმ სულიერი სიმდიდრითაც, ხასიათის სიმტკიცით, რომელიც ამ პატარა ქალმა გამოამეღავნა. კონფლიქტი ძლიერ, თავდაჯერებულ ვაჟკაცსა და ნაზ, სუსტ ქალს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება. ნ. კილოსანიძე გვარწმუნებს თავისი ასელის სულიერ მშვენიერებაში, სიძლიერეში და ამტკიცებს ასე ორგანულად არის გადმოცემული სპექტაკლში მისი მორალური გამარჯვება. საკვანძოთ ლოგიკურია ბოლო სცენა ბაიტემირთან, რასაც მსახიობი ჭეშმარიტი არტისტიზმით ასრულებს.

ამ აქტიორულად ძლიერ სპექტაკლში უთუოდ ახალ შემოქმედებით გამარჯვებას მიაღწია თეატრის ერთ-ერთმა წამყვანმა მსახიობმა ნ. ბურმისტროვმა. ავტობუსის დისპეტჩერის კადიჩას როლში იგი წარმოგვიდგა, როგორც ძლიერი, შინაგანი ტემპერამენტის მქონე დრამატული მსახიობი. ნ. ბურმისტროვი ღრმა განცდით თამაშობს ამ როლს. იგი მომხიბლავი და დამაჯერებელია ყოველ სცენაში, ყოველ ეპიზოდში. იმისათვის, რომ მსახიობმა ასე დაგიმორჩილოს, საკმარისი არ არის ოსტატობა, აქ საჭიროა განცდის დიდი ძალა და განსახიერებული სახის სიღრმეში ჩაწვდომის იშვიათი უნარი.

თავშეკავებული, განგლილ ტანჯვათა შედეგად გულჩათხრობილია ი. ზლონინის ბაიტემირი. მსახიობი საკმაოდ დამაჯერებლად გადმოგვცემს ბაიტემირის სიკეთეს, მის დაფარულ, ვაჟკაცურ სიყვარულს ასელისადმი. ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, ვრძნობათა გამოხატვის ლაკონიურობისადმი სწრაფვაში მსახიობმა ხომ არ გააღარიბა, მშრალი ხომ არ გახადა ეს სახე?.. ალბებ მეტი თავისუფლება უნდა მისცეს გრძნობას, ახალი, უფრო თბილი ფერები მონახოს თავიანი გმირის განცდათა გადმოსაცემად?.. ჩვენი აზრით, ბაიტემირის სახე ამით უფრო მოიგებდა.

მაყურებელთა მოწონება მოიპოვა მ. კაზინეცმა, რომელიც კარგად თამაშობს თავზეხელაღებულ, ლოთ და ფულის მოყვარულ შოფერ ჯანტაის; კარგია მ. ქებაძე ასელის დედის როლში. უთუოდ ნიჭიერი მსახიობის შთაბეჭდილებას ტოვებს ე. ბასილაშვილი ბაიტემირის თანაშაგონის, კეთილი და მხიარული ბიჭის კეშელის როლში.

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინაშე, ისე როგორც ყველა ჩვენი თეატრის წინაშე სერიოზული ამოცანებია. თეატრმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კლასიკას, ყველაფერი გაკეთოს ქართული დრამატურგიის პროპაგანდისათვის, მეტი იმუშაოს ახალგაზრდა მსახიობთა ახალი თაობის პროფესიული დონის ამაღლებისათვის. იმისათვის, რომ ამ კოლექტივის მიერ შექმნილი წარმოდგენები ნამდვილ მხატვრულ მოვლენად იქცეს ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში. შემდგომი მუშაობა დასის ახალი, ნიჭიერი მსახიობებით შევსებისათვის, ის პირობა, რომ თეატრს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი რეჟისორი ა. გინზბურგი, რომლის მოსვლა თეატრში უთუოდ დაიტყო ახალგაზრდა რეჟისორთა უკანასკნელ ნაშუქვრებს, დ. ბოლოს, თეატრის კავშირი თანადროულობასთან უთუო საწინდარია იმისა, რომ ეს ნიჭიერი კოლექტივი ახალ წარმატებებს მიაღწევს და ცოცხალი. შემოქმედებითი ძიების გზაზე ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაზიარებს.

ნ. შალუტაშვილი.

თეატრმცოდნე.

• • •

სურათებზე: ზემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ: დ. სლავინი — ალექსანდრე პავლეს-ძე, ვ. ზახაროვა — ვასილისა თევდორეს ასული და ლ. კრილოვა — ტანია დონჩენკო (სპექტაკლი „ბატის ფრთა“); ქვემოთ, სცენა სპექტაკლიდან „ჩემო წითელთავსფრიანო ტანწერწეტავ“. ბ. სტავიცკი — ილიასი (მარცხნივ) და ნ. კილოსანიძე — ასელი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მხიარულად ატარებენ საგაზაფხულო არდადეგებს ქალაქ გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლეები. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. უტიაშვილი, ლ. ჩიხლაძე, ი. სისაური ყვავილებს კრეფენ

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკოლას — გმირის სახელი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში იბრძოდა ბაქვინჯელი შოთა პლატონის-ძე ტიბუა. მან სახელოვანი გზა განვლო ბერლინამდე. და მაშინ, როცა ფაშისტების ბუნგის აღებამდე სულ რამდენიმე დღეღა დარჩა, შოთა ტიბუა დაიღუპა.

სიკვდილამდე შ. ტიბუას ვისლისა და ვარკას ბრძოლებში მეირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

შინმოუსვლელი გმირის უკვდავყოფისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშობლიური სოფლის საშუალო სკოლას შოთა ტიბუას სახელი მიეკუთვნა.

ბაქვინჯელი მშრომელები სიხარულით შეხვდნენ ამ ცნობას.

საღაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...

ამ რამდენიმე დღის წინათ ლანხუთელმა მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს თავიანთ თანამემამულეებს, იმათ, ვინც რაიონის მიწაზე დაიბადა, ხოლო ამჟამად ნაყოფიერ სამეცნიერო, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა რაიონის ფარგლებს გარეთ.

მათ შორის მეცნიერების სხვადასხვა დარგის ოცდაბუთმეტამდე დოქტორი და პროფესორია, ხოლო ორჯერ მეტი — მეცნიერების კანდიდატი. ბევრი მათგანის შრომები და სახელი ცნობილია არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

შეხვედრა გაიმართა სახალხო თეატრის შენობაში. შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა ლანჩხუთის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ებრალიძემ. ძვირფას სტუმრებს რაიონის მშრომელთა სახელით მიესალმნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ვ. მგელაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. წულაძე და სხვები.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ვ. კუპრაძე, ა. ბარამიძე, ს. წულაძე და სხვები.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის რაიონის მკვიდრმა სხრ კავშირის სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ნ. ტუღუშმა, ლ. მითაიშვილმა და სხვ.

მეორე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, იყვნენ აგრეთვე თავიანთ სოფლებში.

შ. მგელაძე,



მოჭადრაკე ქალებმა პრიზები გაიყვეს

ბელგრადი, 25 მარტი. (საკდინ). ტყუილად იღელვა მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა**, რომელიც თავი-სუფალი იყო ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ბოლო ტურში. რუმინელმა **ალექსანდრა ნიკოლაუმ**, რომელიც თბილისელ სტუდენტს მხოლოდ 0,5 ქულით ჩამორჩებოდა, არ გარისკავდა შესამე ადგილის პრეტენდენტთან **ლუბიცა ძორჯიევთან** (იუგოსლავია) შეხვედრაში უკვე მე-18 სვლაზე ყაიმი შეხთავაზა მოწინააღმდეგეს. ამრიგად, **გაფრინდაშვილმა** და **ნიკოლაუმ** 12 შესაძლებლიდან 9-9 ქულა შეაგროვეს და პირველი ადგილი გაიყვეს.

პირველობის უნიციი

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაუთა გუნდებისათვის. ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის უკანასკნელსწინა დღეს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელებს საზეიმოდ გადაეცათ ოქროს მედლები.

აი ამ დღის შეხვედრათა შედეგები: ცსკა— „სტროიტელი“ (კიევი) 59:65, სვერდლოვსკის „ურალმაში“ — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 85:66, სკა (რიგა) — სკა (კიევი) 60:58, ტარტუს „კალევი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 65:56, ვეფი (რიგა) — კაუნასის „ელგარისი“ 69:64, ლენინგრადის სკა — თბილისის „დინამო“ 79:77.

გუშინ გაიმართა უკანასკნელი შეხვედრა. სამოლოოდ საპრიზო ადგილები დაიკავეს ცსკა-მ, „სტროიტელმა“ და ვეფ-მა. სამწუხაროდ, თბილისის „დინამო“ მე-10 ადგილზე გამოვიდა.

ახალი წიგნები

დოდო ანთაძე — დღეები ახლო წარსულისა. მოგონებები, წიგნი მე-2. რედაქტორი გ. ციცაშვილი. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, გვ. 404, ფასი 2 მან. 01 კაპ.

სიმონ ფეიერაბა — მოთხრობები. წინასიტყვაობა ვლ. ჯიბუტისა. რედაქტორი ალ. ხოშტარია, მხატვარი გ. ქუთათელაძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 448, ფასი 84 კაპ.

ვახტანგ უვანია — ლიტერატურული გასამართლება საქართველოში. რედაქტორი შ. ძიძიგური, მხატვარი ტ. შეყლაძე. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. გვ. 179, ფასი 56 კაპ.

კარპე მუშლაძე — ელაპარაკეთ ბუდაპეშტს. ნარკვევი რუსთაველ ქიმიური კომბინატის მოწინავე ადამიანებზე. რედაქტორი მ. ქოიავა, მხატვარი ი. უთურგაშვილი, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. გვ. 92, ფასი 12 კაპ.

ქალთა ერთი სიურპრიზი

კალათბურთელ ქალთა უძლიერესი კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, სიურპრიზებით ხასიათდება.

მაგალითად, მეორე ტურში მოულოდნელი აღმოჩნდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და კიევის „დინამოს“ გუნდების მატჩის შედეგი. გაიმარჯვეს კიეველებმა 67:55 (30:32). დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“ (დონის როსტოვი) — „ტარტუს უნივერსიტეტის გუნდი 52:45, სკა (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 40:51, ტტტ (რიგა) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 57:24, „დინამო“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი“ (კაუნასი) 66:37, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 38:35.

გუშინ შედგა მესამე ტურის მატჩები. საქართველოს გუნდმა დამაჯერებლად მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ ანგარიშით 70:48.

ბიბლიოთეკა

ლიღერის პირველი შეუერხება

საქართველოს საუბადრაკო ჩემპიონატის მეშვიდე ტურში პირველად შეფერხდა შეჯიბრების ლიდერი **ბ. გურგენიძე.** იგი იძულებული იყო ყაიმის დაჯერებოდა **ე. უბილავასთან** პარტიაში.

თ. გიორგაძემ ეტლების უკეთეს ენდშპილში გადადო პარტია **ს. ჩეჩელიანთან.** ჩინებულად თამაშობს **ნ. ალექსანდრია,** რომელმაც მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია **მ. ჩაგუნავასთან.** წინა ტურში გადადებულ პარტიაში **ნ. ალექსანდრია** თამაშის განუახლებლად დანებდა **გვენცაძე.**

რ. ჯინჯიხაშვილმა მოიგო **ვ. კერნოზიაცის,** თ. ლომაიაძ — **ვ. თოხაძეს,** ყაიმზე შეთანხმდნენ **ი. ჩიქოვანი-ა. ბუსლავი, ა. ბოკუჩავა-გ. მეკენიაშვილი** და **ვ. დავითაშვილი-ა. რაზოვსკი.** დანარჩენი პარტიები გადადო.

გუშინ მეორე ტურში **რ. ჯინჯიხაშვილმა** მოიგო **ი. ჩიქოვანს, ს. ჩეჩელიანმა** — **ვ. თოხაძეს;** ყაიმზე შეთანხმდნენ **ნ. ალექსანდრია-ა. ბოკუჩავა, თ. ლომაია-ვ. დავითაშვილი** და **ა. ბუსლაევი-თ. გიორგაძე.** დანარჩენი პარტიები გადადო.

რვა ტურის შემდეგ 6,5 ქულით და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა **ბ. გურგენიძე.**

წყალგურთელთა ჩემპიონატზე

მოსკოვსა და სარატოვში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 12 კოლექტივის მონაწილეობით.

თვითეულ ჯგუფში გამოდის 6 გუნდი. სარატოვის ჯგუფში არიან სსრ კავშირის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბის, თბილისის „დინამოს“, ბაქოს წითელდროშოვანი ფლოტილის, ლვოვის „დინამოს“, მოსკოვის „ოლქის „ტრუდისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები.

სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და თბილისის „დინამოს“ გუნდების მატჩი დამთავრდა დინამოელების გათამამებით 2:4. ლვოვის „დინამომ“ მოიგო მოსკოვის ოლქის „ტრუდს“ 6:4, ბაქოს კავშირი — კიევის „დინამოს“ 4:3.

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. თბილისის „დინამომ“ მოიგო ლვოვის „დინამოს“ 5:4.

ი. შ. ანთიძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველ გვარდიელთა რიგებს 76 წლის ასაკში გამოაკლდა ივლიანე შევარდენის-ძე ანთიძე.

ი. ანთიძე დაიბადა 1890 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხვეში. დარიბი გლეხის ოჯახში. 1912 წელს იგი მეფის არმიაში გაიწვიეს, სადაც 1917 წლამდე დაჰყო.

არმიიდან ი. ანთიძე მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო რევოლუციურ გამოსვლებში, თავდადებით იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. 1921-1922 წლებში იგი სოფელ ხვეში რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

1922 წლიდან ი. ანთიძე მთელი ათი წლის განმავლობაში ხვეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა და აქტიურად მონაწილეობდა კოლექტივიზაციის განხორციელებაში. 1932 წლიდან 1961 წლამდე იგი კურორტ ბახმაროში ხელმძღვანელ სამუშაოზე იყო და სერიოზული წვლილი შეიტანა კურორტის კეთილმოწყობის საქმეში.

1961 წლიდან ი. ანთიძე პერსონალური პენსიონერი იყო, ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო შრომაში.

უანგარო, სუფთა მუშაკის, თავმდაბალი კომუნისტის, ზეგობრისა და ამხანაგის ივლიანე შევარდენის-ძე ანთიძის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი

სსრკ ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ასპირანტურაში მიღებაზე. შემდეგი სპეციალობებით:
1. **გამოთვლითი ტექნიკა** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლად),
2. **გამოთვლითი მათემატიკა** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლად),
3. **ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობანი** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლად), 4. **საკონტროლო გამზომი ტექნიკა** (წარმოებისაგან მოუწყვეტლად).

ასპირანტურაში მიიღებიან პირები, რომლებმაც დამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არანაკლებ ორი წლისა.

ასპირანტურაში შემსვლელი პირები ამბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიცულობით შემდეგ დისციპლინებში: სპეციალურში; სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დართოს:

1. ნოტარიულად შემოწმებული უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი და ამონაწერი ჩათვლის წიგნაკიდან; 2. დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან; 3. ავტობიოგრაფია; 4. კადრების აღრიცხვის პირადობის ფურცელი ფოტოსურათით 6×4-ზე; 5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია. პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა არა აქვთ, ადგენენ სამეცნიერო მოხსენებას (რეფერატს); 6. პრაქტიკული მუშაობის სტაჟის დასამოწმებელი დოკუმენტი (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან); 7. ცნობა ჯანმთელობის შესახებ, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს, რომ დასაშვებია ასპირანტურაში სწავლა.

განცხადებები მიიღება 1966 წლის 25 აპრილამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1966 წლის 16 მაისიდან.

პირებს, რომლებიც დაიშვებიან გამოცდებზე წარმოებისაგან მოწყვეტით ან მოუწყვეტლად, ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღის ვადით ხელფასის შენარჩუნებით სამუშაო ადგილიდან.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით: 5-62-65, 5-57-01 დამ. 5-32.

მისამართი: ქ. თბილისი, ქამოს ქ. № 37.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტი

ა. წ. 7 აპრილს დღის 12 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (მახარაძის ქ. № 14), ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **იური თეოდორეს-ძე კაკაბაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე „**საკედლე მასალების წარმოებისა და გამოყენების ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ-ში**“.

ა. წ. 7 აპრილს დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **პაპელ დიანოზის-ძე ჩაბელიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე „**საქართველოს სსრ უალკოჰოლო სასმელების წარმოების განვითარება (1921-1964 წწ.)**“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1966 წლის 13 აპრილს დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 11), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხ-ს მოსაპოვებლად **ვაჟა ვასილის-ძე ჩუბინიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**მცენარეთა აქროლადი გამონაყოფ